პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 ნოემბერი, კვირა, 1986 წ.
№ 229 (9390) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

კოოპერირების ძალა

ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა შაბლონს ვერ ითმენს, გამუდმებული ძიება, სიახლეთა მიგნება და დანერგვა აძლევს მას წინსვლისა და მასშტაბების გაფართოების სტიმულს. ეს, ახე ვთქვათ, თვით ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარეობს.

რესპუბლიკაში ყოველწლიურად ბევრი სიახლე ინერგება. ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, ჩვენს სფეროში საქმიანობის გარდაქმნის დაჩქარებაში სახსრების კოოპერირება გახლავთ. არის სამინისტროები, უწყებები, სპორტული საზოგადოებები, ცალკეული ორგანიზაციები და კოლექტივები, რომლებსაც ყოველწლიურად გარკვეული თანხები აქვს გამოყოფილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ყოველთვის როდი ახერხებენ მის ათვისებას.

ერთ-ერთი უმთავრესი ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ეს არის მატერიალურ-სპორტული ბაზის შექმნა-განმტკიცება. ლაპარაკია თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი სპორტული ბაზებზე, სადაც ადამიანებს ყველაფერი ექნებათ, რომ აქტიურად დაისვენონ, ივარჯიშონ, ჯანმრთელობა გაიკაფონ, აი, აქ კი ბევრი პრობლემის გადაჭრა შეიძლება. სახსრების კოოპერირების ანუ წილობრივი მონაწილეობით ერთიანი ამოცანის გადაჭრის შესანიშნავი მაგალითი მოგვცა რესპუბლიკის სპორტსახკომმა, ჩვენმა განათლების სამინისტრომ და სპორტულმა საზოგადოებებმა, რომლებმაც ნორჩი თაობის ფიზიკურ აღზრდაზე და მათ სპორტულ დოსტატებაზე ზრუნვა საერთო საზრუნავად აქციეს. მუშაობის ეს ფორმა დიდ პერსპექტივას გვპირდება სპორტული სკოლების, ოლიმპიური მომზადების ცენტრებისა და ხუბცენტრების შესაძლებლობების ამაღლებასა და განმტკიცებაში. აღარაფერს ვამბობთ სპორტული ბაზების კეთილმოწყობასა და ახლის მშენებლობაზე, შეჯიბრებების ერთიანი ძალებით ჩატარებაზე. სიტყვამ მოიტანა და აქვე დავძენთ: გუშინ თბილისში დამთავრდა სამი მოძმე რესპუბლიკის, საქართველოს, ლატვიისა და ესტონეთის ქალაქების უძლიერეს მხედართა საქალაქთაშორისო შეჯიბრება ცხენოსნობაში. სტუმრები ამ ღონისძიებაზე წილობრივი მონაწილეობით მოიწვიეს თბილისის სპორტკომიტეტმა და განათლების სამინისტრომ. გუშინდელმა ფოსტამ ზესტაფონიდან მოგვიტანა ბარათი, სადაც ამ დღეებში წილობრივი მონაწილეობით შესანიშნავი სპორტული კომპლექსი აუგია რაიონის ავტოტექმომსახურების გაერთიანებას და ლიმონათის ქარხანას. ასეთი ფაქტები ბევრია აგრეთვე რუსთავში, ქუთაისში, ხობში. მატერიალური სახსრების კოოპერირება ჩვენი წინსვლის მძლავრი ბერკეტია, ეს სიახლე ყველგან უნდა დაინერგოს.



საქალაქთაშორისო შეჯიბრებაზე ცხენოსნობაში, რომელშიაც საქართველოს, ესტონეთისა და ლატვიის ქალაქების უძლიერესი ახალგაზრდა მხედრების ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ, კონკურში „გახსნის პრიზზე“ საუკეთესო შედეგი აჩვენა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა იგორ მამფორიამ. ამ პროგრამაში თბილისის მეორე გუნდმა, რომელშიაც იგორ მამფორიასთან ერთად ირაკლი ჭაფოძე და სოფიკო გორგაძე გამოდიოდნენ, გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

სურათზე: სარბიელზეა იგორ მამფორია.

ნარჩევიდგენთ კანდიდატებს

ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ, ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲛᲔᲠᲒᲘᲜᲔᲚᲘ

დავით გობეჯიშვილი

შარშან დავით გობეჯიშვილი სათავეში ედგა რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა სიას. შარშან მან ყველა დიდ შეჯიბრებაში გაიმარჯვა: ეს იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიო ჩემპიონატი. წელს დავითმა ყველა შეჯიბრება ვერ მოიგო, მაგრამ იმდენი „ქულა“ დააგროვა, თუულში ადგილი გარანტირებული აქვს.

შარშან, როცა გობეჯიშვილმა პირველი ცდით დაიპყრო უმაღლესი სპორტული მწვერვალი, ჭიდაობის სპეციალისტებმა ერთხმად აღიარეს: ეს ჭაბუკი დიდხანს არ ჩამოვა ტახტიდანო. ამას რომ ამბობდნენ, პირველ ყოვლისა, ჩვენი ფალავნის უნიკალურ ბუნებრივ მონაცემებს, პოტენციურ შესაძლებლობებს ითვალისწინებდნენ. იმასაც, რომ გობეჯიშვილმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში პირწმინდად დაამარცხა ამერიკელი გოლიათი ბრუს ბაუმგარტნერი. ბაუმგარტნერი, მოგეხსენებათ, ქართველი ფალავნის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე კონკურენტია. საფიქრებელი იყო, რომ წლევანდელი ჩემპიონატის ფინალშიც ეს მოჭიდაველები დაწყვილდებოდნენ. ასეც მოხდა, მაგრამ გობეჯიშვილმა ამჯერად ვერაფერი გააწყო მეტოქესთან და დამარცხდა. ამ მარცხს, რა თქმა უნდა, თავისი ლოგიკა აქვს, თუმცა ამაზე უკვე ბევრი დაიწერა და აქ აღარაფერს ვიტყვით.

ერთი სიტყვით, გობეჯიშვილმა

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის მოფარიკავეთა 1986 წლის სპორტული სეზონის ბოლო ასპარეზობამ — საქართველოს სსრ თასის გათამაშებამ, რომელიც თბილისში მიმდინარეობს, დიდი ინტერესი გამოიწვია. უძლიერეს მუშკეტერთა დაძაბული პაექრობის ეს მომენტი ფარიკაობის დარბაზში გუშინ გადაიღო ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა.

როგორც ვიუწყებოდით, ვორონეჟში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო შესარჩევი ტურნირი, სადაც თბილისის ასკ-ს გუნდმა გაიმარჯვა და პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ალექსანდრე კოტორაშვილმა გადაიღო, აღბეჭდილია თბილისის ასკ-ს გუნდის წევრები: წინა პლანზე — ზაზა გორგაძე, თემურ კობახიძე, ლევან ხარჩილაძე, გიორგი მაისურაძე, ზაზა ახვლედიანი (გუნდის კაპიტანი), ლევან კალანდაძე, გენადი ქათამაშვილი (მწვრთნელი მოთამაშე), იური ჯარიაშვილი (გუნდის უფროსი), ზაურ ქართველიშვილი (უფროსი მწვრთნელი); მეორე რიგში მამუკა კელაურიძე, მიხეილ ფანჩულიძე, გიორგი წულაძე, მამუკა დემეტრაშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი, თემურ გვალაძე, ლევან წულაძე, გოგა ხობაძე, ირაკლი კაკილაშვილი (მსაჯი).

იხ. მე-3 გვ.

ᲔᲚᲕᲐ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

რომელი „დინამო“?

ფებბურთში სსრ კავშირის 1986 წლის ჩემპიონატის დამთავრებამდე დარჩა ორი შეხვედრა — „დინამო“ კიევი — „შახტიორი“ დონეცკი, „დინამო“ კიევი — „დინამო“ მოსკოვი. მოსკოველთა და კიეველთა გუშინდელი შეხვედრა, რომელიც მოსკოვში მანეეში გაიმართა, დამთავრდა ფრედ 1:1.

ორივე გუნდს ქვეყნის ჩემპიონის წოდების მოპოვების შანსი აქვს.

კახა წაქაძე პირველია

კიროვსკის 60-მეტრიან ტრამპლინზე გაიმართა ზამთრის სეზონის პირველი შეჯიბრებები ახალგაზრდა მფრინავ მოთხილამურეთა შორის. საასპარეზოდ შეიკრიბნენ უკრაინის, ესტონეთის, საქართველოს, გორკის, კიროვსკისა და კიროვის მხტომელები.

30 მონაწილეს შორის უძლიერესი იყო 17 წლის ბაკურიანელი სპორტის ოსტატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი **კახა წაქაძე.** გამარჯვებულის შედეგია 176 ქულა (გადახტა 66,5 და 60 მეტრზე).

ჩვენი რესპუბლიკიდან ასპარეზობაში მონაწილეობდა აგრეთვე წაღვერელი ელგუჯა ორჯონიკიძე და ბაკურიანელი იბრაჰიმ გობოზოვი. მათი შედეგები ამჯერად მოკრძალებული იყო და ისინი შესაბამისად მე-14 და მე-15 ადგილებზე გავიდნენ.

ახლა ჩვენი საუკეთესო მხტომელები 12-14 დეკემბერს გამოვლენ ნიჟნი ტაგილის 70-მეტრიან ტრამპლინზე, რომელიც სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველ ეტაპს უმასპინძლებს. აქვე, 20-24 დეკემბერს შედგება მეორე ეტაპი (90-მეტრიან ტრამპლინზე), ხოლო ამის შემდეგ მხტომელები გადაინაცვლებენ გორკში, სადაც 26-28 დეკემბერს გაიმართება გათამაშების დასკვნითი ეტაპი.



„ლელოს“ კორ.
ტელეფონით.

ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ

ლიდერები არ იცვლებიან

საბჭოთა მოჭადრაკეებმა დიდი ანგარიშით (3,5:0,5) დაამარცხეს ესპანეთის ნაკრები და ინგლისის გუნდთან ერთად 33-33 ქულით II-III ადგილებს იყოფენ. ინგლისელებმა პოლონელები დაამარცხეს — 3:1. I ადგილზეა აშშ-ის ნაკრები, რომელმაც XII ტურში ისლანდის მოჭადრაკეებს მოუგო— 3:1.

აი, ასეთი მდგომარეობაა დიუბაიში მიმდინარე ვაჟთა XXVII საჭადრაკო ოლიმპიადაში 12 ტურის შემდეგ.

მოჭადრაკე ქალთა XII ოლიმპიადის ლიდერია საბჭოთა ნაკრები, რომელსაც 12 ტურის შემდეგ 27,5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს. ამ დღეს ჩვენი მოჭადრაკეები შეხვდნენ ესპანელებს. პარტია მოიგო ახმილოვსკაიამ. ჩიბურდანიძისა და ალექსანდრიას შეხვედრები გადაიდო.

ლაღტის ნრეში

ჩრდილი, რომელმაც მთელი რაიონი მოიცვა

ყვარლის რაიონში ბოლო ხუთ წელიწადში მკვეთრად გაიზარდა სქოლიოზით, ჰიპერტონიითა და სხვა ავადმყოფობით დაავადებულ ბავშვთა რიცხვი. თუ ხუთი წლის წინათ ერთ სკოლაში დაავადებულთა რაოდენობა შვიდ-რვას არ აღემატებოდა, ახლა ეს რიცხვი ოც-ოცდაათამდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, სპეციალური სამედიცინო ჯგუფი მხოლოდ ყვარლის სპორტსკოლაში და შილდის პირველ საშუალო სკოლაშია შექმნილი და აქაც სრულფასოვანი მუშაობისათვის პირობები არ არის. **საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ყვარლის ნაკრებმა გუნდებმა კალათბურთში (ბიჭები, გოგონები), მძლეოსნობაში და „იმედის სტარტებში“ შეფასება ვერ დაიმსახურეს. შეჯიბრებაზე გამოუცხადებლობისათვის ხუთ-ხუთი საჯარიმო ქულა მიიღეს მშდ მრავალჭიდელებმა და ფრენბურთელებმა (გოგონები); მხოლოდ ორი ქულა მოიპოვა ფეხბურთელთა გუნდმა; წლევანდელი სპარტაკიადის ფინალურ ეტაპზე ყვარლიდან მხოლოდ ორი მოსწავლე ასპარეზობდა.** ისინი, რასაკვირველია, ქებას იმსახურებენ: გ. ივანიშვილი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა, ვ. ჭანტურიძე კი მეორე ადგილზე გავიდა (ორივე — თავისუფალი ჭიდაობა), მაგრამ საერთოდ, რაიონის მოსწავლეთა მიერ ბოლო წლებში ნაჩვენები შედეგები, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ერთობ მოკრძალებულია. რა არის ასეთი ჩამორჩენის მიზეზი? უპირველეს ყოვლისა ის, რომ **ყვარლის რაიონში მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობა ფართოდ არ არის გაშლილი, მეტიც: სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისთვის ელემენტარული პირობებიც კი არაა შექმნილი.** სკოლები სათანადო სპორტული ინვენტარით ცუდად მარაგდება, **არც საშეფო ორგანიზაციები აქტიურობენ.** აქ მოუწყობელია ან საერთოდ არ არის მარტივი ტიპის ღია მოედნები. სკოლებს, მაგალითად, **შილდის პირველ და მე-2, ხოფელ საბუეს საშუალო სკოლებს, სადაც 300-დან 500-მდე მოსწავლე ერთ ცვლაში მეცადინეობს,** თითო სპორტდარბაზის ანაბრად არიან. ენისელის სკოლამ (დირექტორი ა. გიგიაშვილი) შარშან სარაიონო დათვალიერებაში გაიმარჯვა, მაგრამ მისი ღია სპორტული კომპლექსი დღეს ასე გამოიყურება: ფეხბურთის მოედანზე ხის „დაკერებული“ ძელებით შეკოწიწებული კარებები დგას (ბადეების გარეშე), მოედნის ცენტრში... კალათბურთის ფარია აღმართული. აქვე დაუდგამთ ხელბურთის კარებები. **არ არის სარბენი ბილიკები.** სკოლის უზარმაზარ ტერიტორიაზე **სასტომი ორმოსა და ფრენბურთის მოედნებისთვის ადგილი ვერ გამოუნახავთ, საცურაო აუზი ანტიხანიტარიის კერად ქცეულა. ასეთი სკოლა თუ სანიმუშოა რაიონში, წარმოიდგინეთ რა მდგომარეობა იქნება სხვა სკოლებში.**

ყვარლის სკოლებში სისტემატურად **არ ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, ჩაშლილია ან სუსტად წარმოებს სექციური მუშაობა.** როცა ერთ-ერთი სკოლის მეათეკლასელს ვკითხე, არის' თუ არა მეთქი სპორტული სექცია თქვენს სკოლაში, მან მიპასუხა: მგონი უნდა იყოს, ერთხელ კომკავშირის კრებაზე ახსენაო ვიღაცამ. აი, ამის გამოა, სკოლების უმრავლესობას რაიონულ შეჯიბრებებში, **მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ბევრ სახეობაში გუნდები რომ ვერ გამოჰყავთ, თუ გამოჰყავთ, ისიც მოუმზადებელი, და ისიც მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით.** ასე, მაგალითად, თივის საშუალო სკოლას (დირექტორი ზ. მაგომედოვი) რაიონის მოსწავლეთა ბოლო სპარტაკიადაზე მონაწილეობა არ მიუღია კალათბურთში, ხელბურთში, კლასიკურ ჭიდაობაში, მშდ-ს მრავალჭიდში, „იმედის სტარტებში“ გამართულ შეჯიბრებებში კი ამ სკოლის სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში სისტემატურად ბოლო ადგილს იკავებენ. ჩამორჩება ბალღოჯიანის რვაწლიანი სკოლაც (დირექტორი შ. მოდებაძე), ცუდად მუშაობენ ალმატის, სარუსოს, გავაზის, ვრემის, სანავარდოს რვაწლიანი სკოლების ფიზკულტურის კოლექტივებიც.

უკვე თვეზე მეტია, რაც რესპუბლიკაში **დათვალიერება-შეჯიბრება ტარდება მძლეოსნობაში** ნიჭიერ მოზარდთა გამოსავლენად. ამის შესახებ წინასწარ შეატყობინეს სკოლებს, მოუწოდეს მათ გულისყურით მოკიდებოდნენ ამ ღონისძიებას, მაგრამ **ყვარელი ამ მოწოდებას არ გამოხმაურებია.** არადა, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სწორედ მძლეოსნობაში აქვთ რაიონის სპორტსმენებს. **ყვარლელმა მძლეოსნებმა საქართველოს მოსწავლეთა წინა სპარტაკიადაზე ჩასათვლელი ქულაც ვერ მოიპოვეს, წელს კი საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა სპარტაკიადაში.**

ყვარლის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში **არ ტარდება სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული „ჯანმრთელობისა და სპორტის დღე“.**

სასკოლო შეჯიბრებების ჩატარების სტაბილურ კალენდარს არც ერთი სკოლა არ იცავს. ხშირია შემთხვევები, როცა სკოლის დირექტორის ბრძანებით **მშდ-ს ნიშნით აჯილდოვებენ იმ მოსწავლეებს, რომელთაც ნორმატივები არ ჩაუბარებიათ.** ფიზკულტურის გაკვეთილებზე მოსწავლეთა და მასწავლებელთა უმრავლესობა სპორტული ფორმის გარეშე მეცადინეობს. ნიშნები იწერება ლიბერალურად... ერთი სიტყვით, სურათი ნათელია: აქ საქმისადმი გულგრილ, უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას იჩენენ. **ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებამ, სპორტსკოლის ხელმძღვანელობამ, სკოლების დირექტორებმა, ფიზკულტურის მასწავლებლებმა უნდა გარდაქმნან მუშაობა, მხარი აუბან სადღეისო მოთხოვნებს.** მომავალი თაობის აღზრდა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზრუნავია და ამ საქმეში ყველას განსაკუთრებული პრინციპულობის და გულმოდგინების გამოჩენა გვმართებს.

ახლა, ვნახოთ როგორაა საქმე ფიზკულტურულ კოლექტივებში. **25 ფიზკულტურული კოლექტივიდან შარშან რაიონის საგაზაფხულო სპარტაკიადაზე ცხრაზე მეტმა გუნდმა ვერსად ვერ იასპარეზა. მშდ-ს V საფეხური კი არავის ჩაუბარებია.**

საქართველოს IX სპარტაკიადაზე რაიონის ნაკრებმა მერვედან ოცდამერვე ადგილზე გადაინაცვლა. აქვე უნდა ითქვას, რომ რაიონის **სპორტკომიტეტმა უსახსრობის გამო ექვსი გუნდი მომზადებული ვერ გაგზავნა საასპარეზოდ.** სად იყო რაიონის პროფკავშირები, სხვა ორგანიზაციები?

ყვარლის ფეხბურთელთა გუნდი „დურუჯი“, რომელიც **შარშან** თავის ჯგუფში **მეექვსე ადგილზე გავიდა, წელს ლიგის დატოვების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა,** უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ რეზერვთან არ წარმოებს სათანადო მუშაობა. გუნდის ძირითად შემადგენლობას არა ჰყავს სრულფასოვანი ცვლა.

ოცდახუთი ფიზკულტურული კოლექტივიდან თერთმეტს არა ჰყავს მეთოდისტი; არ ტარდება შიდასაკოლექტივო პირველობები; უმეტესობა ინვენტარის ნაკლებობას განიცდის.

ხოფელ შილდაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე კ. გელაძე), რომლის მოსახლეობა ქალაქ ყვარლის მოსახლეობას ბევრით არ ჩამორჩება, ფიზმუშაკი არ არის სპორტული მოედანი ან დარბაზი.

გაგაცნობთ ერთ ამონაწერს ყვარლის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის 1986 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებიდან:

„დაევალოს შილდის კოლმეურნეობას (ამხ. კ. გელაძე) ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს სოფლებში სპორტული მოედნების მოსაწყობად.

გრემისა და ენისელის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა (ამხ. ე. კევლიშვილი და ს. ქარენაშვილი) სამი თვის ვადაში მოაწყონ სპორტული მოედნები (სოფლები გრემი, შაქრიანი და ენისელი).

დაევალოს რაისაბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს (ამხ. ზ. ცუკილაშვილი) მიმდინარე წლის 10 ივლისამდე წარმოადგინოს წერილობითი ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ერთი ამონაწერიც ზ. ცუკილაშვილის 1986 წლის 8 ივლისის მოხსენებითი ბარათიდან:

„გრემის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში (ამხ. ე. კევლიშვილი) დღემდე არაფერი გაკეთებულა აღნიშნული გადაწყვეტილების შესასრულებლად. **არ მოუწყვიათ სპორტული მოედნები ხოფლებში ბაქრიანში და გრემში.** აქ დაიწყეს და **შეწყვიტეს სპორტული დარბაზის მშენებლობა.**

შილდის კოლმეურნეობას (ამხ. კ. გელაძე) თითიც არ გაუტოკავია ხოფელში სპორტული მოედნების მოსაწყობად.

ენისელის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (ამხ. ს. ქარენაშვილი) ოთახი გამოუყო მაგიდის ჩოგბურთის, შაშისა და ჭადრაკის მოყვარულებს, მაგრამ სპორტული მოედნები კვლავ მოუწყობელია.

რატომ არ ასრულებენ ამ გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნული სოფლების ხელმძღვანელები, **როდის მოიცლიან ისინი ესოდენ მნიშვნელოვანი საქმეებისთვის?** კ. გელაძემ გაშენებული ვენახები ჩამოართვა რამდენიმე ოჯახს და ტრაქტორით ადგილი მოასწორა მაშინ, როცა იქვე, ახლოს, უფრო შესაფერისი ტერიტორიაც იყო მოედნის მოსაწყობად. მართალია, ვაზი კოლმეურნეობის კუთვნილ ტერიტორიაზე იყო გაშენებული, მაგრამ ხომ შეიძლებოდა მეურნე კაცის პოზიციებიდან მიდგომოდა საქმეს, მიეცა ის ადგილი ისეთი ოჯახებისთვის, რომელთაც არა აქვთ საკმაო მიწის ფართობი. ვენახის განადგურება დიდი დანაშაულია.

ამ ბოლო დროს თითქოს ტრადიციად იქცა: აშენდება ხადმე მშვენიერი სპორტული კომპლექსი, მიიწვევენ სახელგანთქმულ სპორტსმენებს, სპორტის მეხვეურებს, ხელმძღვანელ მუშაკებს, წარმოსთქვამენ მაღალფარდოვან სიტყვებს სპორტის დანიშნულებაზე, მნიშვნელობაზე, იმ პერსპექტივებზე, რასაც ამ ბაზის აშენება გვპირდება. მაგრამ გავა დრო და აღმოჩნდება, რომ თურმე ეს სპორტული კომპლექსი არავის სჭირდება, ყველა მიივიწყებს მას. მაგალითად, ხოფელ საბუეში (მეურნეობის დირექტორი ვ. სეფაშვილი, პროფკავშირის თავმჯდომარე ჯ. ელიზბარაშვილი), მდინარე ინწობის ხეობაში, სოფლის მეურნეობის ცნობილი მუშაკის მ. ითშვილის ინიციატივით და ხელმძღვანელობით რამდენიმე წლის წინათ **აშენდა შესანიშნავი ღია სპორტული კომპლექსი, აღჭურვილი კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მინი ფეხბურთის მოედნებით, ფეხბურთის სტანდარტული მოედანი მოასფალტებული სარბენი ბილიკებით, ტანვარჯიშული ქალაქით, საჭიდაო მოედნით. აქვეა მშვენივრად მოწყობილი ჭადრაკის ოთახიც.** თავიდან კომპლექსს დირექტორიც ჰყავდა და სათანადო შტატიც, შეჯიბრებებიც ზშირად იმართებოდა, მაგრამ დრო გავიდა და **ჯერ დირექტორის შტატი გააუქმეს, შემდეგ სხვებიც მიაყოლეს და ახლა საბუეს სპორტული კომპლექსი ერთი დამლაგებლისა და დარაჯის ანაბარა დარჩა.** აქ მხოლოდ ქართულ ჭიდაობაში იმართება შეჯიბრებები, კომპლექსის დანარჩენ სექტორებში კი უკვე წელიწადია „ოლიმპიური სიმშვიდეა“ გამეფებული. კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის მოასფალტებულ მოედნებზე ბალახმა ამოხეთქა და მწვანე „კუნძულები“ გაჩნდა. იგივე ბედი ეწვია სარბენ ბილიკებსაც. ცუდად გამოიყურება „ტანვარჯიშული ქალაქი“. ჭადრაკის ოთახში გაკრული, აკურატულად შესრულებული სექციური მუშაობის ცხრილი არავის არაფერში არგია, მოჭადრაკეების წლების განმავლობაში საზოგადოებრივ საწყისებზე ამეცადინებდა გ. ყანჩელიშვილი, საბუელებიც ხშირად იმარჯვებდნენ სარაიონო შეჯიბრებებში. აქ ბევრი თანრიგოსანიც მომზადდა, მაგრამ ყანჩელიშვილს არ დაუფასეს შრომა, არ აღიარეს ფასიანი ჯგუფები და მანაც ხელი ჩაიქნია.

სოფლის ფიზორგი თ. ზურაბაშვილი თავს არ ზოგავს — ფეხბურთელებსაც და ლელობურთელებსაც ავარჯიშებს, მაგრამ საქმეს ვერარ აუდის და სოფლის ხელმძღვანელებს ეხვეწება ერთი კაცი მაინც დამახმარეთ, რომელიც მოჯდნებს მიხედავსო.

იბადება კითხვა, ზედმეტი ხომ არ იყო ასეთი კომპლექსი სოფელ საბუესთვის. მაგრამ, რადგან, კომპლექსი უკვე აშენდა (ხოლო მის მშენებლობაზე და მოწყობაზე 120 ათასი მანეთი დაიხარჯა) სოფლისა და რაიონის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა იღონოს იმისთვის, რომ მან თავისი დანიშნულება შეასრულოს. **ალბათ დროა ამ ბაზის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანაზე, ფასიანი შემახსურების პირობების შექმნაზე იზრუნონ.**

ხშირად, როცა რომელიმე რაიონში ფიზკულტურულ და სპორტმაწყობრივ მუშაობაში დარღვევებს და ჩამორჩენას აღმოაჩენენ, პასუხს მხოლოდ სპორტკომიტეტს და სპორტსაზოგადოებების თავმჯდომარეებს თხოვენ. ჩვენი აზრით, ყვარლის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზ. ცუკილაშვილი და „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე თ. წიწრიაშვილი როგორც არ უნდა ეცადონ, მარტონი ვერაფერს გახდებიან, თუ მათ ხელმძღვანელმა-ორგანოებმა არ დაუჭირეს მხარი. საჭიროა მუშაობა გარდაიქმნას და იმის ღრმა შეგნება, რომ ფიზიკური აღზრდა, სპორტი, არ არის მეორეხარისხოვანი საქმე.

ალექსანდრე კაკოშვილი,
(„ლელოს“ საკ. კორ).

ყვარელი.

მშდ-ს მრავალჭიდი წვევამდელთა გამოცდა

წვევამდელთა შეჯიბრებები უკვე ტრადიციად იქცა. სავალდებულო სამხედრო სამსახურს ფიზიკურად ჯანსაღი შევსება სჭირდება! ამ დევიზით ჩატარდა მაიაკოვსკში, სამხედრო სპორტულ კომპლექსში წვევამდელთა რესპუბლიკური შეჯიბრების ფინალი მშდ-ს მრავალჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ზონალურ შეჯიბრებებში გამარჯვებული გუნდები: თბილისის (2 გუნდი), რუსთავის, ქუთაისის, ადიგენის, გარდაბნის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მაიაკოვსკის, ზუგდიდის, გორის, ჭიათურის და გურჯაანის წარმომადგენლები. პირველი ადგილი დაიკავა თბილისის I გუნდმა, რომელიც მთლიანად პოლიტექნიკური ინსტიტუტის და მანქანათმშენებელი ტექნიკუმების წვევამდელი სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული, II ადგილზე გავიდნენ რუსთაველები, III ქუთაისელი წვევამდელები.

პირად პირველობაში საპრიზო ადგილები დაიკავეს თბილისელებმა ს. სხირტლაძემ (I ადგილი) ი. გოშაძემ (II) და ა. კრასილნიკოვმა (III). შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ წვევამდელთა უმრავლესობა ცუდად იყო მომზადებული, განსაკუთრებით ცურვაში და სროლაში.

საყურადღებოა ისიც, რომ საგაზაფხულო პირველობაზე გამარჯვებულმა ქუთაისის გუნდმა 700 ქულა მოაგროვა, ხოლო ამ შეჯიბრებაზე პირველ ადგილზე გასულმა თბილისის პირველმა გუნდმა მხოლოდ — 429 (!). აქედან დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ რაიონების სამხედრო კომისარიატები კომკავშირისა და ფიზიკური კულტურის კომიტეტები საგულდაგულოდ არ ემზადებიან ამ პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩასატარებლად.

ირეოდი გეზაშვილი
რესპუბლიკის სპორტსახკომის მასობრივი ფიზკულტურის და მშდ-ს კომპლექსის განყოფილების უფროსი.

ჭაბუკთა შეჯიბრებებზე

საქართველოს წარმომადგენლებმა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ტრუდის“ ცენტრალური საბჭოს 1970-1971 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა პირადი პირველობის შვიდი ჯილდო მოიპოვეს თავისუფალ ჭიდაობაში. თბილისში გაიმარჯვეს აკაკი კუპრაშვილმა, ნიკო ყუბანეიშვილმა, შერმადინ თუთბერიძემ და ზვიად მაისურაძემ. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ზაზა ზურაბიშვილმა, რუსლან ბიბილოვმა და ბაგრატ ლაბაძემ.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენლებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

• • •

ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ზენიტის“ 1972-1973 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში ოთხი პირველი ადგილი მოიპოვეს კლასიკურ ჭიდაობაში. 250 მონაწილეთა შორის ოქროს მედლები წილად ხვდათ დავით ხუციშვილს (36 კილოგრამამდე წონითი კატეგორია), ზურაბ გაბაძეს (48 კილოგრამამდე), ზვიად ხაბეიშვილს (52 კილოგრამამდე) და მიხეილ ოქროუაშვილს (60 კილოგრამამდე).

(საქინფორმი).

საიმედო შედეგები „იმედის სტარტებზე“

დილის სპორტული კომპლექსის ტირში დამთავრდა თბილისის პირადი პირველობა ტყვიის სროლაში, სახელწოდებით „ოლიმპიური იმედი“. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ როგორც მოსწავლეები, ისე „დინამოს“, დოსაააფის, და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი არმიის სპორტკლუბის წევრები. შეჯიბრების შედეგების მიხედვით მწვრთნელებმა შეარჩიეს კანდიდატები თბილისის ნაკრებისათვის, რომელიც საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადისათვის მოემზადება.

ნორჩმა სნაიპერებმა ცალკეულ სახეობებში საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლილა სროლაში (მშ-9) პირველი ადგილი დაიკავა გამოცდილმა დინამოელმა სპორტის ოსტატმა დიმიტრი ფოტიევმა — 592 ქულა. მანვე გაიმარჯვა მშ-5 ვარჯიშშიც — 565 ქულა. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში (მპ-5) საუკეთესო შედეგი აჩვენა თბილისის მე-18 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ კონსტანტინე გონაძემ (582 ქულა), რომელმაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტზე სწრაფ სროლაში გაიმარჯვა 116-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელმა გიორგი ქველიაშვილმა.

პისტოლეტით მსროლელ გოგონათა შორის (მპ-5) პირველობა არავის დაუთმო 92-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ ირინა აქმიაკოვამ (576 ქულა). მშ-9 ვარჯიშში უძლიერესი იყო ტატიანა ფედოსეევა (52-ე საშუალო სკოლა), მანვე გაიმარჯვა მშ-5 ვარჯიშშიც — 556 ქულა.

კარლო სალუქვაძე.

დავით გობეჯიშვილი

დასასრული

წლის მთავარი შეჯიბრება ვერ მოიგო და მხოლოდ ვერცხლის ჯილდო ჩამოიტანა ბუდაპეშტიდან. სხვას ამას წარმატებად ჩაუთვლიდნენ, მაგრამ გობეჯიშვილს — არა. კარგია, რომ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატები ყოველწლიურად ტარდება. ეჭვგარეშეა, ჩვენი ფალავანი გაისად ყველაფერს იღონებს „ტახტის“ დასაბრუნებლად. რაც შეეხება შინაურულ ტურნირებს, აქ გობეჯიშვილს მეორე წელია ბადალი არა ჰყავს. ორჯონიკიძეში გამართული საკავშირო ჩემპიონატი, რომ იტყვიან, ცალი ხელით მოიგო. მერე იყო საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადა. ამ შეჯიბრებაში, ასაკობრივი ცენზის გამო, ყველა ძლიერი მოჭიდავე ვერ გამოვიდა და გობეჯიშვილმა კიდევ უფრო იოლად გაიკაფა გზა კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ. მოკლედ, დავითი წელს მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, პირველად — ხალხთა სპარტაკიადისა. მან პირველად მოიგო თბილისის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირიც. ამას დაუმატეთ გამარჯვება მსოფლიო თასის გათამაშებაზე საბჭოთა კავშირის ნაკრებთან ერთად, მეორე ადგილი კეთილი ნების თამაშებზე.

დიახ, შემთხვევით არ გვითქვამს, რომ დავით გობეჯიშვილს წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულში ადგილი დაჯავშნული აქვს. ხოლო იმას, თუ რომელ საფეხურზე მოხვდება, სპორტულ ჟურნალისტთა რეფერენდუმი გადაწყვეტს. ამ რეფერენდუმში „ლელოს“ ყველა მკითხველს შეუძლია მონაწილეობის მიღება.

6-7 დეკემბერს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში შედგება რესპუბლიკური საზალხო უნივერსიტეტის მეცადინეობა (ნაცვლად 29-30 ნოემბრისა).

6 დეკემბერს მეცადინეობა დაიწყება 16 საათზე. მსმენელები შეხვდებიან მსოფლიოს ექსჩემპიონს მიხეილ ტალს, რომელსაც სულ ახლახანს 50 წელი შეუსრულდა. მ. ტალი დამსწრეთ გააცნობს მიტელშპილში შეტევის წარმართვის ხელოვნების საკითხებს.

საერთაშორისო ოსტატ გიორგი ბორისენკოს ლექციის თემაა „სადებიუტო შეხედულებათა დაბირისპირება მსოფლიო პირველობებზე“.

მსმენელთა წინაშე შემოქმედებითი ანგარიშებით წარსდგებიან სსრ კავშირის ჩემპიონი ნანა იოსელიანი და ვერცხლის პრიზიორი ქეთევან არახამია, 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი ქეთევან კახიანი.

შემდეგ მოეწყობა ერთდროული თამაშის სეანსები.

7 დეკემბერს, 11 საათზე ჩატარდება სემინარული მეცადინეობები ფაკულტეტების მიხედვით. 13 საათზე სახალხო უნივერსიტეტის პირველობაზე გაიმართება კონკურსი საშდრაკო ეტიუდებისა და ამოცანების ამოხსნაში.

ტურნირის ექო

მონდომების საზღაური

როგორც იცით, თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის ახლადდაარსებულმა წყალბურთელთა გუნდმა ვორონეჟში, I ლიგის ორი საგზურისთვის ბრძოლაში, ყველას აჯობა. ჩვენ უკვე გაუწყეთ, თუ რატომ ჩამოყალიბდა ეს გუნდი, ვინ ამზადებდა წყალბურთელებს გადამწყვეტი მატჩებისათვის, ვინ ეხმარებოდა გუნდს და ა. შ. მაგრამ ბევრი რამ უთქმელი დაგვრჩა. ამიტომ გადავწყვიტეთ გუნდის მწვრთნელებს, წყალბურთელებს შევხვედროდით და მათთან გვესაუბრა.

● პირველ ყოვლისა ჩვენი გაზეთის მკითხველებს გუნდის წევრები გავაცნოთ:

დავით იაშვილი — საქართველოს სპორტსახკომის სპორტის საწყლოსნო სახეობათა განყოფილების უფროსი:

— გუნდში ჩვენი ქვეყნის ხალხთა საკავშირო სპარტაკიადის ექვსი ვერცხლის პრიზიორი, სპორტის ოსტატები: თეიმურაზ გვალაძე, ირაკლი ლიპარტელიანი, ლევან წულაძე, მიხეილ ფანჩულიძე, მამუკა კელაურიძე და თემურ კობახიძე გვყავს; მათ გარდა კიდევ ორი სპორტის ოსტატია — გენადი ქათამაშვილი და ზაზა ახვლედიანი. ორივენი თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრები იყვნენ. ზაზა საბჭოთა ნაკრების წევრებთან ერთად ახალგაზრდათა მსოფლიო პირველობის გამარჯვებულია. ახლა იგი არმიელთა გუნდის კაპიტანია, ხოლო გენადი — გუნდის მოთამაშე მწვრთნელი. მათთან ერთად გუნდის ღირსებას იცავენ ზაზა გორგაძე, მამუკა დემეტრაშვილი, ლევან ხარჩილაძე, გიორგი წულაძე, გიორგი მაისურაძე და ლევან კალანდაძე.

● ალბათ, ვორონეჟში შეკრებილთა შორის ჩვენი გუნდი ყველაზე ტიტულოვანი იყო — რვა სპორტის ოსტატი, რომელთაგან ექვსნი საკავშირო სპორტაკიადის ვერცხლის პრიზიორია, პატარა ძალა არაა.

ჯიმშერ თორთლაძე — საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი წყალბურთში.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ სხვებსაც საკმაოდ გამოცდილი წყალბურთელები ჰყავდათ. მაგალითად, ლვოვის არმიელთა გუნდში მოთამაშე ამავე ქალაქის „დინამოს“ - ოთხ წყალბურთელს უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს. მათგან ორი ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო. ძლიერი წყალბურთელები ჰყავდა ლენინგრადის შეზღვაურთა სპორტული კლუბის გუნდს. ამ კოლექტივის ექვსი წევრი სპარტაკიადაზე გამოდიოდა. იგივე შეიძლება ითქვას ვორონეჟელ თანაკლუბელებზე.

● ტურნირს, რომელიც I ლიგის ორ ახალ ბინადარს ავლენს, შარშან თბილისმა უმასპინძლა. მახსოვს, შეჯიბრების დაწყებამდე გუნდის ხელმძღვანელებს, მოთამაშეებსა და სპეციალისტებს, ერთი სიტყვით, უკლებლივ ყველას ეგონა, რომ I ლიგის საგზური თბილისელ არმიელებს ჯიბეში ედოთ, მაგრამ...

ზაურ ქართველიშვილი — თბილისის ასკ-ს უფროსი მწვრთნელი:

— გაგიკვირდებათ, მაგრამ მაშინ საკუთარმა კედლებმა შეგვიშალა ხელი. ბიჭები ღელავდნენ, თან არც გამოცდილება ჰქონდათ. აბა, ერთი წლის მანძილზე რა გამოცდილებას შეიძენდნენ.

● ვორონეჟში როგორი განწყობილებით გაემგზავრეთ, შარშანდელმა წარუმატებლობამ რწმენა ხომ არ შეგირყიათ?

ზაზა ახვლედიანი — გუნდის კაპიტანი:

პირიქით. მართალია, ტურნირზე ორი საგზური უნდა განწილებულიყო, მაგრამ გუნდის თითოეულ წევრს სჯეროდა, რომ პირველ ადგილზე სწორედ ჩვენ გავიდოდით. გვიხარია, რომ მიზანს მივაღწიეთ.

● კაუკაზით ბიჭები გყავთ. ვორონეჟში ექიმი ალბათ „შტატით“ წამოგყავთ.

დონარა პეტრიაშვილი — გუნდის ექიმი:

— თქვენ ასე გგონიათ? ჩასვლისთანავე თემურ კობახიძემ და ლევან ხარჩილაძემ „ავადმყოფობის ფურცელი“ გახსნეს და ასპირეზობა ისე დამთავრდა, წყალში ჩასვლის ნება არ მიმიცია. შეჯიბრების პირველსავე დღეს ავად გაგვიხდნენ მაისურაძე და ლევან წულაძე, მერე გიორგი წულაძემაც დააპირა ავადმყოფობა. აბა, თავის ტუჯუპისცალს ხომ არ ჩამორჩებოდა, მაგრამ ყველაფერი ვიღონეთ იმისათვის, რომ ბიჭები შეჯიბრებას ბოლომდე არ გამოთიშოდნენ. წლების მანძილზე თბილისის „დინამოს“ გუნდთან ვმუშაობდი, მაგრამ ასეთ გაწამაწიაში არ ჩავვარდნილვარ.

● რა, შეგაშინათ ბიჭების ავადმყოფობამ?



ზაურ ქართველიშვილი:

— წყალბურთში კარგად აღებულ სტარტს დიდი მნიშვნელობა აქვს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ პირველი მატჩის თამაში ყველას უჭირს, ლენინგრადელებთან შეხვედრაში ოთხი წყალბურთელი, მათ შორის, ძირითადი შემადგენლობის სამი წევრი გვაკლდა. ამიტომ მთელი მატჩი 8-9 კაცმა ჩატარა, მათგან ექვსმა შეუცვლელად ითამაშა. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით მეორე მატჩს ლვოველებთან. თუ მოვიგებდით, წარმატებისკენ გზა გაგვეხსნებოდა. ამ შეხვედრაში ორი ნაკადმყოფი გამოვიყენეთ. ამ ძნელ მატჩებში დიდი დახმარება გამიწია მოთამაშე მწვრთნელმა გენადი ქათამაშვილმა. შეხვედრის მსვლელობისას, ბუნებრივია, მე ჩვენი ბიჭების თამაშში კორექტივების შეტანა აღარ შემეძლო, სამაგიეროდ, ჩემს ყველა მითითებას სარბიელზე ენება ადორციელებდა.

● როგორ ფიქრობთ, საიდან უფრო იოლია ხელმძღვანელობა — ზემოდან, ე. ი. აუზის ბორტიდან თუ წყლიდან, ან რა უფრო ძნელია — თამაში თუ ხელმძღვანელობა?

გენადი ქათამაშვილი:

— აბა, როგორ გითხრათ. ზემოდან, ალბათ, უკეთესად ჩანს ყველაფერი, მაგრამ წყალში მეტის გაკეთება შეიძლება, როცა „დინამოში“ ვთამაშობდი, მთელი მონდომებით ვიბრძოდი და სანერვიულოდ ვერ ვიცლიდი. ახლა კი...

● ქართველ წყალბურთელთა მეკარეებს ხშირად იწვევენ საკავშირო ნაკრებში. მოსკოვში, IX საკავშირო სპარტაკიადაზეც ჩინებულად ითამაშა ჩვენმა მეკარე თეიმურაზ გვალაძემ. თავი ალბათ არც ახლა შეიკავებენია.

ზაურ ქართველიშვილი:

— გვალაძემ ბრწყინვალედ ითამაშა. ჩვენი გუნდის წარმატებაში მას უდიდესი წვლილი მიუძღვის. „მინდვრის“ მოთამაშეებს რაკი ზურგს უკან კარის საიმედო დარაჯი ეგულებოდათ, თვითონაც გაბედულად თამაშობდნენ. მთელი ტურნირი კარგად ჩაატარა დემეტრაშვილმა, აღგვაფრთოვანა ლიპარტელიანმა, სამაგალითოდ ითამაშა გუნდის კაპიტანმა ახვლედიანმა. კარგად ითამაშეს იმათაც, ვისგანაც ამას, სხვადასხვა მიზეზების გამო, ნაკლებად ველოდი. მაგალითად, არ მეგონა გიორგი წულაძე ასე ჩინებულად თუ ითამაშებდა. კელაურაძე საკავშირო სპარტაკიადის მერე დამავდა და დიდხანს არ ვარჯიშობდა, მაგრამ ვორონეჟში გუნდს მხარში ამოუდგა და თავდაუზოგავადაც იბრძოდა გამარჯვებისთვის.

● ახლა რას აპირებთ?

ზაზა ახვლედიანი:

— დიახ, ჩვენი მიღწევა უკვე ისტორიას ჩაბარდა. ახლა I ლიგაში ისე უნდა ვითამაშოთ, რომ მეტოქეებს თავი დავამახსოვროთ.

გენადი ქათამაშვილი:

I ლიგაში ისეთი გუნდები გამოდიან, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში არაერთი სეზონი გაუტარებიათ. მაგალითად, ტაშკენტის „მეხნატი“, მოსკოვის „ტორპედო“, ვოლგოგრადის „სპარტაკი“, მინსკის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის გუნდი. საკმაოდ ძლიერი გუნდია მოსკოვის „მაიაკი“, რომელშიც ფაქტიურად სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის (სსფ ცსკ) დუბლიორთა შემადგენლობაა გაერთიანებული: მისი ამოცანაა ძირითად გუნდს ახალი შვესება მისცეს. „მაიაკი“ მიზნად არასოდეს დაუსახავს უმაღლეს ლიგაში გადასვლა, თუ მოიდომებს, გფიქრობ, მიზანს მიაღწევს. ერთი სიტყვით პირველ ლიგაში მეტად ძნელი ბრძოლები გველის.

● თქვენი გუნდის უფროსი იური ჯარიაშვილი ყოფილი ხუთჯერადი ალ-ია, წყალბურთში რამ მოიყვანა?

იური ჯარიაშვილი:

— წყალბურთის სიყვარულმა. ოღონდ ბიჭებმა კარგად ითამაშონ და რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, არაფერში თავს არ დავზოგავ.

გუნდის განწყობილებაც ასეთია.

საუბარი ჩაიწერა
ავთანდილ გურასაშვილმა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

როცა გუნდი ხასიათზეა

ორ ქალაქში — ლენინგრადსა და მინსკში გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაუთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები, აი ალმა-ათის ჯგუფის მონაწილეებმა კი ტური უკვე დაამთავრეს.

ალმა-ათა. აქ დაუმარცხებლად იბრძოდა არმიელთა კოლექტივი, მაგრამ ბოლო დღეს (28 ნოემბერს) გუნდმა წაიბორძიკა. ორი დღის წინ, გახსოვთ ალბათ, ალმა-ათელებმა რიგის ვეფ-ი 14 ქულით დაამარცხეს. ამჯერად ლატვიელი კალათბურთელები ზოედანზე გამარჯვების რწმენით გამოვიდნენ. პირველი ტაიმის შემდეგ მდგომარეობა ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო, ვინაიდან რვაქულიანი სხვაობა (49:41) წარმატების გარანტიას არ იძლეოდა. და მართლაც, შესვენების შემდეგ ალმაათელმა კალათბურთელებმა მკვეთრად გარღვევეს თამაში. მატჩის ბედი ფაქტიურად ბოლო წუთებზე გადაწყდა. ვეფ-მა რამდენიმე ზუსტი სროლით სასურველ გამარჯვებას მიაღწია — 95:91.

ცსკა-მ ამ ტურში ერთი შეხვედრა წააგო. მაგრამ არმიელები ასეთ საბედისწერო შეცდომას მეორედ აღარ დაუშვებდნენ. ეს ყველასათვის ცხადი იყო, და მათ შორის ვილნიუსის „სტატბასთვისაც“, რომელმაც ამის მიუხედავად პირველ ტაიმში მეტოქეს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია (44:33). მაგრამ როცა არმიელი კალათბურთელები ფორმაში არიან, ძნელია მათი „დაოკება“. ცსკა-ს უპირატესობა მეორე ნახევარში აშკარა იყო, განსაკუთრებით დასკვნით ნაწილში, რაც ანგარიშშიც აისახა — 98:74.

მოსკოვის არმიელებს თორმეტ შეხვედრაში 10 გამარჯვება აქვთ და გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად ლიდერობენ.

ლენინგრადი. თბილისის „დინამომ“ ტურის ორი მატჩი ლენინგრადის „სპარტაკთან“ და კიევის არმიელებთან თავის შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარა. განსაკუთრებით გულდასაწყვეტი იყო კიეველებთან მარცხი (2 ქულა), რომელიც ბრძოლის საერთო სურათს არ ასახავდა. „დინამომ“, როგორც ჩანს სწორად გააანალიზა ორი პირველი მარცხის მიზეზები და ლენინგრადელებთან განმეორებით შეხვედრაში სულ სხვა განწყობილებით გამოვიდა.

„სპარტაკი“ წლევანდელ ჩემპიონატშიც საპრიზო ადგილების ერთ-ერთ პრეტენდენტად რჩება, თუმცა სეზონი მან არც ისე დამაჯერებლად დაიწყო. ერთი რამ აშკარაა — ნევისპირელები შინ იშვიათად აგებენ შეხვედრას და თუკი ასეთი რამ მაინც მოხდა, იმას ნიშნავს, რომ მეტოქემ წარმატების არავითარი შანსი არ დაუტოვა.

ამჯერად სწორედ ასე იყო. თბილისელები პირველ ტაიმშიც (დამთავრდა „დინამოს“ გამარჯვებით — 28:27) და შესვენების შემდეგაც მტკიცედ ფლობდნენ ხელთ ბრძოლის სადავეებს და ძნელი მატჩი სასურველი შედეგით დამთავრეს — 66:63. ასეა მუდამ, როცა გუნდი ხასიათზეა, როცა კალათბურთელები თავიანთი სტილისა და თამაშის ერთგულნი რჩებიან.

მოსკოვის „დინამოსა“ და კიევის არმიელთა შეხვედრის ძირითადმა დრომ უძლიერესი ვერ გამოავლინა — 96:96. გამარჯვებულის ვინაობა დამატებით ხუთ წუთში გამოირკვა. მოსკოველებმა სატურნირო ცხრილში 2 ქულა ჩაიწერეს — 109:102.

მინსკი. „შახტიორი“ ზუსტად ის გუნდია, რომლისგანაც ყოველგვარ სიურპრიზს შეიძლება ელოდეთ: ძლიერთან — ლამაზ გამარჯვებას (გაიხსენეთ 27 ნოემბრის მატჩი კიევის „სტროიტელთან“ რომელიც დონეცკის კალათბურთელებმა დაძაბულ ბრძოლაში მოიგეს — 73:71), უფრო სუსტ გუნდთან კი — უფერულ თამაშს.

მინსკის რტი, ცხადია, არ არის სუსტი გუნდი, თანაც როცა შინ თამაშობს, მაგრამ „სტროიტელთან“ გამარჯვების შემდეგ „შახტიორისგან“ მაყურებლები გაცილებით მეტს მოელოდნენ. მოხდა კი პირიქით. ამ დღეს მდგომარეობის ფაქტიური ბატონ-პატრონი მინსკის გუნდი იყო, რომელმაც შედარებით იოლ გამარჯვებას მიაღწია — 93:67 (51:34).

კაუნასის „ჟალგირისი“ ნელ-ნელა იკრებს ძალებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუნდის ლიდერმა არვიდას საბონისმა განაახლა თაშაში. მართალია იგი ჯერ კიდევ ფრთხილობს, მაგრამ მოედანზე მის ყოფნას, თუნდაც მცირე ხნით, გუნდისთვის გარკვეული სარგებლობა მოაქვს.

მორიგ შეხვედრაში კაუნასელებმა კიევის „სტროიტელი“ 24 ქულით დაამარცხეს — 104:80. „ჟალგირისს“ ათ თამაშში 6 გამარჯვება აქვს.

ლაზარი

პირველი ქართველი ჩემპიონი ჩოგბურთში

უპირველეს ყოვლისა იმათ შესახებ ვინც ამ ფოტოზე არიან აღბეჭდილნი. გვარებს მარჯვნიდან ჩამოვთვლით, ვინაიდან ჩვენთვის უფრო საინტერესო სწორედ ეს მხარეა. მაშ ასე: ედუარდ ნეგრებეეკი, არჩილ მდივანი, ბრაუნი და ვიქტორ ტუკელი.

ედუარდ ნეგრებეეკი და არჩილ მდივანი 30-იან წლებში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები იყვნენ. ბრაუნიც იმდროინდელი საბჭოთა ჩოგბურთელია. ვიქტორ ტუკელი კი პროფესიონალი ფოტორეპორტიორი გახლდათ, განსაკუთრებით ჩოგბურთელებთან იყო დაახლოებული, დაჰყვებოდა მათ ტურნირებში და ყველაფერ მნიშვნელოვანს ფირზე აღბეჭდავდა.

ნეგრებეეკიმ და მდივანმა ჩოგბურთის თამაში თბილისში დაიწყეს პლეხანოვის ქუჩაზე 117 ნომერში მდებარე კორტებზე. სულ მალე ისინი რესპუბლიკის უძლიერესი ჩოგბურთელები გახდნენ. მერე საკავშირო სარბიელზეც გავიდნენ. 1934-1936 წლებში ამ წყვილმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. ნეგრებეეკი შრმდევნო წლებშიც იყო ჩემპიონი, ხან ერთეულთა, ხან წყვილთა, ხან კი შერეულ წყვილთა თანრიგში. არჩილ მდივნის შემდეგ მას პარტნიორობას უწევდნენ ჯერ ევგენი კუდრიავცევი, მერე კი ნიკოლოზ ოზეროვი.

სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღება მათ ჯერ კიდევ 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე მიიპყრეს. მაშინ ისინი ამიერკავკასიის ნაკრების ღირსებას იცავდნენ, გუნდური შეჯიბრების ფინალში მოსკოველებთან დამარცხდნენ და საბოლოო ჯამში მეორე ადგილს დასჯერდნენ. პრესა უკვე მაშინ აღნიშნავდა, რომ ჩოგბურთის კორტებზე თამამად შემოდგა ფეხი ნიჭიერ ახალგაზრდა სპორტსმენთა თაობამ. ასახელებდნენ მოსკოველებს: პ. ჩისტოვს, ნ. ჯაკსონს, დ. სინიუჩკოვს, ზ. ზიკმუნდს, თბილისელებს ა. მდივანსა და ე. ნეგრებეეკის...

1935 წელს ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელთა შორის საუკეთესონი საზღვარგარეთ სათამაშოდ გააგზავნეს. ე. ტეპლიაკოვა და ე. კუდრიავცევი პარიზს ეწვივნენ და რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს მუშათა სპორტული ორგანიზაციების სპორტსმენებთან. მეორე ჯგუფი ბორის ნოვიკოვის, ედუარდ ნეგრებეეკისა და არჩილ მდივნის მადგენლობით თურქეთს გაემგზავრა. ჩვენმა ჩოგბურთელებმა ყველა შეხვედრა დიდი აღმავლობით ჩაატარეს და დამაჯერებლად მოიგეს....

ეს ფოტოსურათი ჩვენთვის იმითაც არის საინტერესო და ღირსსახსოვარი, რომ ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის ამბებს გვახსენებს. თანაც, თუ არ ვცდებით, პირველი ქართველი ჩოგბურთელის — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის არჩილ მდივანის ფოტო ჩვენს პრესაში აქამდე არ დაბეჭდილა.

„ოქროს ბურთის“ ლაურეატები

„გენერალი“ კვლავ მწყობრშია

1931 წლის 9 თებერვალს ჩრდილოეთ ბოჰემიის პატარა ქალაქ მოსტში, რომელიც ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარზე მდებარეობს, მასოპუსტების ოჯახში პირველი ბავშვი დაიბადა. ახალშობილს სახელად იოზეფი დაარქვეს. ვაჟის გაჩენამ განსაკუთრებით მამა გაახარა, რომელიც პროფესიით მეშახტე იყო და პატარა მემკვიდრეში თავისი საქმის გამგრძელებელს ხედავდა. იოზეფი მართლაც

მალე ეზიარა მამის პროფესიის ანბანს: ერთ-ერთ მაღაროში მოეწყო შეგირდად. იგი, როგორც უფროსი შვილი, მშობლებს ოთხი დაძმის მოვლაშიც ეხმარებოდა, მაგრამ მაინც პოულობდა დროს და თანატოლებთან ერთად ფეხბურთის თამაშში აღამებდა. იოზეფი იმდენად გამოირჩეოდა ამხანაგებისგან, რომ ჩვიდმეტი წლისა ადგილობრივ გუნდში ჩაირიცხა. შვილის მიღწევებით წაქეზებული მამაც აღარ გაიძახოდა ისე ჯიუტად, ჩემი ვაჟი მეშახტე იქნებაო. იმ დროს მოსტის „ბანიკის“ მოთამაშე-მწვრთნელი იყო პრაღის „სპარტისა“ და ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ყოფილი მცველი იაროსლავ ბურგრი, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეწყო ნიჭიერი ახალგაზრდის ოსტატობის დახვეწისა და ზრდისთვის. მაგრამ მათი გზები მალე გაიყო: 1949 წლის ბოლოს, როცა იოზეფი (ჯერ ცხრამეტი წლისაც არ იყო) საავადმყოფოში იწვა ბრმა ნაწლავის აშოსაკვეთად, მას მიაკითხა უცნობმა, რომელიც კლინიკაში ავადმყოფს მამასთან ერთად მიდიოდა. სტუმარი პირდაპირ საქმეზე გადავიდა: „მე რუდოლფ ვიტლაჩილი ვარ და მინდა, რომ ჩემს გუნდში გადაგიყვანო“. ჩეხოსლოვაკიის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი, ფეხბურთის საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი რუდოლფ ვიტლაჩილი მაშინ პირველი ლიგის კლუბს ტეპლიცეს „ვოდოტეხნას“ (ახლა — „უნიონი“) ედგა სათავეში.

ასე დაიწყო ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო ფეხბურთელის იოზეფ მასოპუსტის გზა დიდ ფეხბურთში. ეს გზა იმდენად სასახელო გამოდგა, მასოპუსტს „ფეხბურთის გენერალი“ შეარქვეს. მან ტეპლიცეში ორი სეზონი გაატარა, 1952 წელს კი პრაღის „დუკლაში“ გადავიდა, სადაც არაერთ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. მასოპუსტი თავისი ქვეყნის რეკორდსმენი, რაც სარეკორდო მაჩვენებელია (ასეთივე შედეგი აქვთ ფ. პლანიჩკას, ა. პუჩს, ლ. ნოვაკს და სვ. პლუსკალს). სულ ლიგაში ჩაატარა 386 შეხვედრა და გაიტანა 79 გოლი. მაგრამ 1962 წელი მაინც განუმეორებელია მის ბიოგრაფიაში — პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ მასოპუსტის ბრწყინვალე თამაშს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში.

1962 წელს ჩილეში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა, რომელსაც რუდოლფ ვიტლაჩილი ხელმძღვანელობდა, მეორე ადგილი დაიკავა! ჩეხოსლოვაკიელები ფინალურ მატჩში დამარცხდნენ ტყავის ბურთის ბრაზილიელ ჯადოქრებთან — 1:3. ამ შეხვედრაში ანგარიში სწორედ იოზეფ მასოპუსტმა გახსნა. მან მთელი ტურნირის მანძილზე შესანიშნავი თამაშით უბრალოდ მოხიბლა მაყურებელი, ასევე მაღალ დონეზე ჩაატარა მთელი სეზონი და „ოქროს ბურთი“ დაიმსახურა. 1962 წლის კონკურსში მასოპუსტმა 65 ქულა მოაგროვა და 12 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ პორტუგალიელ ეუსებიოს; მესამე იყო დასავლეთგერმანელი შნელინგერი (33 ქულა). მხედველობიდან ნუ გამოგრჩებათ, რომ მაშინ იოზეფ მასოპუსტი უკვე 31 წლისა გახლდათ! მასოპუსტმა კიდევ ექვს წელიწადს ითამაშა „დუკლაში“, 1968 წელს კი ბელგიაში გადავიდა და თავისი კარიერის ბოლო ორი სეზონი „როიალ კროსინგ ანტვერპენში“ გაატარა. ამ კლუბში იგი მოთამაშე-მწვრთნელი იყო. ბელგიიდან ისევ „დუკლაში“ დაბრუნდა და იქ განაგრძო მუშაობა მწვრთნელად. 1976-1980 წლებში მასოპუსტი ბრნოს „ზბროიოვკას“ ხელმძღვანელობდა და 1987 წელს ამ კლუბს ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებიც მოაპოვებინა. შემდეგი სამი წელიწადი კვლავ ბელგიაში გაატარა, იქაური მეორე ლიგის კლუბს „ასელს“ წვრთნიდა. ამის შემდეგ მას ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობაც მიანდვეს. ახლა მასოპუსტის უპირველესი მიზანია, ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე [illegible]ის უფლება მოიპოვოს. გუნდმა უკვე ჩაატარა ორი შესარჩევი მატჩი და სამი ქულა დააგროვა. „გენერალი“ თავის არმიას სერიოზული, გადაწყვეტი ბრძოლებისთვის /ამზადებს.

ზურაბ ფოცხვერია.

კამპომანესი ისევ ფიდე-ს პრეზიდენტია

ფლორენსიო კამპომანესი (ფილიპინები) კვლავ აირჩიეს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად ქალაქ დუბაიში (არაბთა გაერთიანებული საემიროები) გამართულ ამ საერთაშორისო გაერთიანების გენერალურ ასამბლეაზე.

კამპომანესმა, საზღვარგარეთის საგენტოების ცნობით, ეს პოსტი შეინარჩუნა მას შემდეგ, რაც მისმა ერთადერთმა კონკურენტმა — ბრაზილიელმა ლინკოლნ ლუსენამ მოხსნა თავისი კანდიდატურა კენჭის ყრის დროს.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 23 ნოემბერს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 47-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: გაიყიდა 808.425 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (77 ბარათი) მოგება 839 მანეთია, ოთხისთვის (2602) — 27, სამისთვის (35869) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-იდან: გაიყიდა 6 645.779 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (6 ბარათი) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (2497) — 241, სამისთვის (120.895) — 11.

მოგებული თანხის განაღდება — 8 დეკემბრიდან. 1987 წლის 8 იანვრის ჩათვლით.

ჟურნალი „ენდ-გეიმი“

ხელმძღვანელი **ვაჟა ნეიძე**

თბილისს რამდენიმე დღით ეწვია ინგლისელი ეტიუდისტი და ჟურნალისტი ჯონ არტურ როიკროფტი, რომელიც დიდი ხანია ქართველ ეტიუდისტებთან მეგობრობს. როიკროფტი მსოფლიოში ერთადერთი საეტიუდო პერიოდული გამოცემის „ენდ-გეიმის“ (ინგლისურად ნიშნავს თამაშის დაბოლოებას და ეტიუდის მნიშვნელობითაც იხმარება) დამაარსებელი, რედაქტორი და გამომცემელია.

ჟურნალი ყოველთვის დროულად და ზუსტად ბეჭდავს საქართველოში ჩატარებული კონკურსების შედეგებს, ქართველი ავტორების წერილებს, საკონკურსო განცხადებებს და ა. შ.

თქვენი კოლექციისათვის

გთავაზობთ „ენდ-გეიმის“ ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილ პიკანტურ ეტიუდს, რომელმაც ჟურნალ „64“-ის წლიურ კონკურსზე საქები შეფასება მიიღო.

რ. თამარიანი



მოგება

ამოხსნა: **1. ეc7+ მფd6!** (1. ...მფe8 2. კc6+ მფf8 3. ეf7+! მფ:f7 4. კd5+ მოგებით **2. ეh7! a1ლ 3. ეh1 ლa2 4. ეd1+! მფe5 5. კd5** (ლაზიერი დატყვევებულია!) **ლ:d5. ე:d5+ მფ:d5 7. მფb4 a3. 8. მფ:a3** და თეთრები იგებენ. სადად შესრულებული მახვილგონივრული ნაწარმოებია!

გაეცანით და ამოხსენით

არის ამოცანები, რომ[illegible] საწყის მდგომარეობაში შა[illegible]ის ნებისმიერ სვლას პასუხად შამათი **მოსდევს.** ვინაიდან თეთრებს არ გააჩნიათ მომლოდინე სვლა, რათა ზემოთ აღნიშნული ილუზორული ვარიანტები განახორციელონ, მათ ამოხსნის ნამდვილი გზა უნდა იპოვონ. ასეთი შინაარსის ნაწარმოებს **ამოცანა—ბლოკს** უწოდებენ.

კ. მენსფილდი, 1926



შამათი 2 სვლაში

ამოხსენით და გამოგვიგზავნეთ პასუხები როგორც ილუზორული, ისე, ნამდვილი შამათის ჩვენებით.

ამოხსნა

„ლელოს“ ა. წ. 16 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი ჯ. უეინრაიტის ორსვლიანი ამოცანის ამოხსნაა 1. კd6!

ვაქებეუნებთ იმათ გვარებს, ვინც პირველებმა გამოგვიგზავნეს ამოხსნა: შ. ფანჩვიძე (რუსთავი), გ. ძაგანია (ონოღია, გეგეჭკორის რ.), ბ. ბოლქვაძე (ქედა), გ. რაზმაძე (აგარა), ნ. კახიძე (ბათუმი), გ. ხუროშვილი (გორი), რ. ცერცვაძე (ზესტაფონი), მ. დოლიძე (მახარაძე), ა. ჭუმბურიძე (ზედა საქარა, ზესტაფონის რ.), თ. ჯორთმენაძე (დანდალო, ქედის რ.), ლელა და ირინა ქლიბაძეები (ქუთაისი), ა. მარგველაშვილი (მუხიანი, წყალტუბოს რ.), თ. პირტახია (თამაკონი, გეგეჭკორის რ.), თ. გორდელაძე (სუფსა, ლანჩხუთის რ.), ჯ. სულუხია (წულუკიძე), გ. საჯაია (წალენჯიხა), ჯ. ცაგარეიშვილი (ცუხი, წულუკიძის რ.), ფატი ქათუთია, კ. წიტაიშვილი, ვ. დარჯანია (ყველა — ზუგდიდი), გ. ბეზარაშვილი, ზ. კოლხიდაშვილი, მ. შვანგირაძე (ყველა — თბილისი).



3-6 დეკემბერს

თბილისის სპორტის სასახლეში ტარდება შეჯიბრება მხატვრულ ტანვარჯიშში საქართველოს თასზე. სარბიელზე გამოვლენ აფხაზეთის ასსრ, ჭარის ასსრ, ქ. ქუთაისის, ქ. რუსთავის, თბილისის (2) ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 12 საათზე. ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 30 ნოემბერი. რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.20 (1);** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „სტროიტელი“ (კიევი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) — **21.20 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **0.40 (1);**

საქართველოს ტელევიზია. 30 ნოემბერი. სპორტული პროგრამა: „დიალოგი მიხეილ ტალთან“ და სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში: ასკ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) — **22.45.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ინდექსი: [illegible]. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. [illegible] 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 07749